

კატია კუიანპეე

ჰელსინკის უნივერსიტეტი

კამათს მორგებული: როგორ და რატომ ცვლის პავლე მოციქული წმინდა წერილს ციტირებისას

პავლეს ეპისტოლეები სექტუაგინტას ადრეული მაგრამ არასანდო წყაროა. მოხსენებაში ვაჩვენებთ, რომ როდესაც პავლე მოციქული ციტირებისას წმინდა წერილის ტექსტის მოდიფიცირებას ახდენს, მისი მოტივი უპირველესად რიტორი- კული და აპოლოგეტური ფაქტორებია. იგი ისე ცვლის წმინდა წერილის სიტყვიერ ფორმას, რომ მოარგოს ახალ (ქრისტიან- ნულ) კონტექსტს და თავის არგუმენტად აქციოს იგი.

მეფეთა წიგნებიდან და ესაიას წინასწარმეტყველები-

დან მოხმობილი მაგალითებით ვაჩვენებ ტექსტის მოდიფი- ცირების პავლე მოციქულისთვის დამახასიათებელ ტექნი- კას, მაგ. იმას, თუ როგორ გამოტოვებს ან ანაცვლებს ზოგი- ერთ ელემენტს, ცვლის გრამატიკულ ფორმებს ან აერთებს ორ ტექსტს. ვაჩვენებთ იმასაც, თუ როგორ ასახავს ამგვარი ცვლილებები ავტორის განზრახვას, რომელიც ზოგჯერ სტილისტური მოსაზრებებითაა ნაკარნახევი, მაგრამ უფრო ხშირად ძირითად არგუმენტთან მათი შეთანხმების სურვი- ლითაა განპირობებული. ცხადია, დროდადრო ტექსტის ამ- გვარი ადაპტაცია მნიშვნელოვან თეოლოგიურ ცვლილებებ- საც კი იწვევს.

მოხსენებაში ვაჩვენებთ, რომ პავლე მოციქული და ცი-

ტირების მისეული ტექნიკა წმინდა წერილის განზრახ შეც- ვლის კარგი მაგალითია